# ბერიაშვილი, ლომიძე, ბლიაძე — იაპონიის ჩემპიონები

ტოკიო, 10 მარტი. ამომავალი მზის ქვეყნის ღია ჩემპიონატი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში ყველაზე დიდი ოლიმპიადისწინა საერთაშორისო ტურნირი გამოდგა, რომელმაც მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერეს ათლეტს მოუყარა თავი.

საბჭოთა მოჭიდავეები შეჯიბრების პირველი დღიდან ფავორიტთა შორის ირიცხებოდნენ და წარმატებით დაამთავრეს კიდეც ასპარეზობა. ჩვენი „კლასიკოსებიდან" იაპონიის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: ტაშკენტელმა რ. კაზაკოვმა, ომსკელმა ვ. იგუმენოვმა, თბილისელმა ო. ბლიაძემ და როსტოველმა ნ. იაკოვენკომ.

მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონმა გ. საპუნოვმა ფინალური ბრძოლა წააგო იაპონელ მუნემურასთან და ამიტომაც II ადგილი დაისაკუთრა. ს. რიბალკოს ბრინჯაოს მედალი ერგო.

წარმატებით იასპარეზეს ჩვენებმა [illegible] მოჭიდავეთა ტურნირშიც. ოთხი მათგანი [illegible] ჩემპიონი გახდა. ესენი არიან: თბილისელებმა [illegible] და შ. ლომიძე, მახარაძელი ი. შახმურადოვი და კიეველი ბ. გურევიჩი.

ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახლდათ ის, რომ მსოფლიოს ნ-გზის ჩემპიონმა, მჩატე წონის საბჭოთა ათლეტმა ა. ალიევმა მხოლოდ II ადგილი დაისაკუთრა.

# წაქაძემ სძლია გრენობლის ჩემპიონს

გასულ შაბათ-კვირას გორკის დიდ ტრამპლინზე სსრ კავშირის მორიგი პირადგუნდური ჩემპიონატი გაიმართა. შაბათს გათამაშდა გუნდური პირველობა. ტურნირის დაწყებამდე გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონმა ვ. ბელოუსოვმა ერთ-ერთი საცდელი ნახტომი ბრწყინვალედ შეასრულა — 103,5 მეტრზე გადახტა და სტილშიც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. მისი გამარჯვება არავის ეეჭვებოდა, მაგრამ შეჯიბრებაში გრენობლის ჩემპიონმა თავი ვეღარ გამოიჩინა. საბოლოოდ იგი IV ადგილს დასჯერდა — 192,1 (80 და 89 მ).

83 სპორტსმენს შორის პირველი იყო ბაკურიანელი ვეტერანი კ. წაქაძე. იგი ჯერ 89,5 მეტრზე გადახტა, შემდეგ კი ეს შედეგი 1 მეტრით გააუმჯობესა და ორი საუკეთესო ნახტომით 206,5 ქულა მოაგროვა. წაქაძემ 6 ქულა მოუგო მოსკოველ ა. ივანიკოვს (88 და 89,5 მ), III ადგილი მოიპოვა მასპინძელთა წარმომადგენელმა ვ. შჩერბაკოვმა — 194,2 ქულა (86 და 89,5 მ).

ჩათვლაში იუნიორთა მაჩვენებლებიც შედიოდა. როცა შედეგები შეაჯამეს, გუნდური ჩემპიონობა (70 ქულით) მოსკოველებს ხვდათ. II პრიზიორია ლენინგრადის კოლექტივი — 45, III — მოსკოვის ოლქის ნაკრები — 39. საქართველოს მოთხილამურეები 36 ქულით IV ადგილზე გავიდნენ. მათ ჩამოიტოვეს კიროვის, გორკისა და სხვა ქალაქების ტრამპლინიდან მხტომელები.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 49 (3533)

12

1968 წ. მარტი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.


# ძალთა გენერალურ შემოწმებაზე

მადრიდის დარბაზი „პალასიო დე ლოს დეპორტესი" შაბათ-კვირას ევროპის მძლეოსანთა სეზონის პირველ უდიდეს შეჯიბრებას მასპინძლობდა. კონტინენტის ზამთრის III ჩემპიონატზე მასპინძელთა გარდა თავი მოიყარეს სსრ კავშირის, ინგლისის, გფრ-ის, გდრ-ის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო ათლეტებმა. მათთვის ეს იყო ძალთა საბრძოლო, შეიძლება გენერალური დათვალიერებაც მეხიკოს ოლიმპიადის წინ, ვინაიდან „სპორტის დედოფლის" ევროპელ რაინდებს ოქტომბრამდე ასეთი თავყრილობა აღარ ექნებათ.

ტურნირის პირველ დღესვე ნათელი გახდა, რომ ასპარეზობისთვის ყველაზე უკეთ ევროპის თასის ორგზის მფლობელი — სსრ კავშირის გუნდი და გერმანიის ორივე სახელმწიფოს კოლექტივები მომზადებულიყვნენ — თამაშებს სწორედ ისინი ჩაუდგნენ სათავეში.

ანგარიში ქალებმა გახსნეს. პირველი ფინალური შეჯიბრება 400 მეტრზე რბენაში გაიმართა. სარატოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. პეჩიონკინამ დილით 55,9 წამი აჩვენა და საკავშირო მიღწევა გაიმეორა, საღამოს კი, ფინალში, ეს შედეგი 0,7 წამით გააუმჯობესა და ოქროს მედალი მოიპოვა. ტ. არნაუტოვამ (მოსკოვის ოლქი) III შედეგი აჩვენა — 56,3.

50 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირიდან ტ. ზარუბინა და ლ. იევლევა გამოდიოდნენ და ორივემ ერთნაირი შედეგით (7,1) მოიგო გარბენები. ფინალში ყველას აჯობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა კ. ბალცერმა (გდრ) — 7,0. თბილისელმა სტუდენტმა ლ. იევლევამ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა — 7,1.

სიგრძეზე მხტომელ ქალებში ფავორიტებს ნორვეგიელმა ბ. ბერტილსენმა აჯობა — 643 სმ. II პრიზიორმა ბ. ლიონერტმა (გდრ) 1 სანტიმეტრი მოუგო ვ. ვისკოპოლიანუს (რუმინეთი) — 622. ჩვენებიდან საუკეთესო გახლდათ ჰ. რინგა, რომელმაც V ადგილი დაიკავა — 614 სმ.

სსრ კავშირის ქალთა კვარტეტმა (ლ. ტკაჩენკო, ვ. პოპკოვა, ნ. სეროპეგინა, ა. ზიმინა) მოიგო ესტაფეტა 1+2+3+4 წრეზე. საინტერესო იყო სიმაღლეზე ხტომა. 17 წლის ლაიპციგელი რ. შმიდტი 184 სანტიმეტრზე გადახტა, პირველობა გაინაღდა და მერე სარეკორდო 187 სანტიმეტრზე მიიტანა იერიში. ეს ცდა უშედეგო გამოდგა. მოსკოველი ა. ოკოროკოვა III ადგილს დასჯერდა — 176 სმ. ასეთივე შედეგით „ვერცხლი" რუმინელმა ვ. ბონჩიმ წაიღო.

კარგად გამოვიდნენ ჩვენი სიგრძეზე მხტომელი ვაჟები. ი. ტერ-ოვანესიანმა (816 სმ) „ოქრო" მოიპოვა, ხოლო ტ. ლეპიკმა (787) — „ვერცხლი". ბირთვის კვრა მოიგო ჰ. ბირლენბახმა (გფრ) — 18,65 მ. შარშანდელი ჩემპიონი ნ. კარასიოვი მას 30 სანტიმეტრით ჩამორჩა და III ადგილს დასჯერდა.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა სსრ კავშირის ვაჟთა კვარტეტმაც ესტაფეტაში 4×2 წრეზე. 800 მეტრზე ჩემპიონი გახდა ირლანდიელი ნ. კეროლი. ს. კრიუჩეკმა III შედეგი აჩვენა. 50 მეტრზე ყველას აჯობა ი. ჰირშტმა (გფრ) — 5,7.

მეორე დღეს ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა და იგი სსრ კავშირის ათლეტების უპირატესობით დამთავრდა. მადრიდში ჩვენებმა 9 ოქროს, 6 ვერცხლის, 8 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს და გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გასულ გდრ-ის სპორტსმენებს 12 ქულით აჯობეს.

პირვანდელ ნადავლს საბჭოთა სპორტსმენებმა ტურნირის ამ დღეს ოქროს მედლები დაუმატეს: სამხტომში — ნ. დუდკინმა — 16,71 მ (სოხუმელმა ვ. სანეევმა მასთან 2 სმ-ით წააგო), სიმაღლეზე ხტომაში — ვ. გავრილოვმა — 217 სმ, ბირთვის კვრაში — ნ. ჩიჟოვამ — 18,18 მ, 3 კილომეტრზე რბენაში ვ. კუდინსკიმ — 8.10,2. გ. ბლიზნეცოვმა ჭოკით 510 სანტიმეტრი გადალახა, რაც 7 სანტიმეტრით სჯობს ძველ საკავშირო მიღწევას. იგი II ადგილზე გავიდა. გაიმარჯვა ვ. ნორდვიგმა (გდრ) — 520 სმ.

* * *

სურათზე: ი. ტერ-ოვანესიანი ასპარეზობისას.



# ფრენბურთელებმა დაიმყუდროვეს

სარატოვსა და ყაზანში დამთავრდა სსრ კავშირის „ა" კლასის ფრენბურთელ ქალთა ჩემპიონატის II წრის მატჩები. ამით დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა ზამთრის პერიოდის შეჯიბრებებიც. ჩემპიონობისთვის ბრძოლას ქალები ივნისში განაახლებენ. ამჯერად გუნდები ორ-ორ მატჩს გამართავენ საკუთარ და მეტოქის მოედნებზე. ამასთან, ზაფხულის პერიოდში ქალთა გუნდებს გამოაკლდებიან ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები, რომლებიც ამ დროისთვის ერთობლივ წვრთნას დაიწყებენ. ახლა გათამაშების ცხრილის სათავეში 42 ქულით დგას ცსკა. მას მიჰყვებიან: „სპარტაკი" (ირკუტსკი) — 40 ქულა, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — 39, „დინამო" (მოსკოვი) — 37, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — 36, „ბურევესტნიკი" (კიევი) — 35, „ბურევესტნიკი" (ოდესა) — 33, „სპარტაკი" (მინსკი) — 30, „ნეფტიანიკი" (ბაქო) — 27, „დაუგავა" (რიგა) — 26, „სპარტაკი" (ხარკოვი) — 25, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — 24 ქულა.

ვაჟთა გუნდებს II წრის თამაშები ჯერ არ დაუმთავრებიათ, კიდევ 5-5 მატჩი ელით. II წრის დასკვნითი ტურის მატჩები გაიმართება 19-24 მარტს როსტოვსა და მოსკოვში. მანამდე გათამაშების ცხრილში ასეთი სურათია: „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — 32 ქულა, „რადიოტექნიკი" (რიგა), „ბურევესტნიკი" (ხარკოვი), „კალევი" (ტალინი) — 29-29, ცსკა, ასკ (როსტოვი) — 25-25, „ლოკომოტივი" (კიევი), „ბურევესტნიკი" (ოდესა) — 24-24, „დინამო" (მოსკოვი), აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) — 23-23, „ბურევესტნიკი" (მინსკი) — 22, „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) — 21 ქულა.

# უკანასკნელ საათს

◆ ბელგრადი, 11 მარტი. აქ მიმდინარე ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის სტარტზე 3-3 გამარჯვება იზეიმეს მასპინძლებმა — მ. მარკოვიჩმა და ლ. ლილიაკმა. ასენოვასთან გამარჯვების შემდეგ ნ. გაფრინდაშვილი ყაიმზე შეუთანხმდა ა. კუშნირს, ხოლო მომდევნო ტურში დაამარცხა იუგოსლაველი ტ. შტადლერი. ა. კუშნირმა ჯერ წააგო ლილიაკთან, მეორე ტურში კი ყაიმით დაამთავრა პარტია რუმინელ ნიკოლაუსთან.

◆ რიო-დე-ჟანეირო, 11 მარტი. მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი გამარჯვების 10 წლისთავის აღსანიშნავად, ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს 15 ნოემბერს რიო-დე-ჟანეიროში შეხვდნენ მსოფლიოს ნაკრებს. ამ უკანასკნელის მწვრთნელთა საბჭოში შევიდნენ: ა. რამსეი (ინგლისი), ჰ. შიონი (გფრ), ო. გლორია (ბრაზილია) და ე. ერერა (არგენტინა).



# [illegible]

● ინცელი (გფრ), 10 მარტი. მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ნორვეგიელმა მოციგურავემ ფ. ა. მაიერმა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ამჯერად, 5000 მეტრზე რბენაში — 7.16,7.

სურათზე: მაიერი დისტანციაზე.

კიროვი, 10 მარტი. აქ გაიხსნა მოციგურავეთა 30-ე საიუბილეო შეჯიბრება ს. მ. კიროვის სახელობის პრიზზე, რომელშიც გარდა საბჭოთა სპორტსმენებისა, მონაწილეობენ გდრ-ის, პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოციგურავეები. 500 მეტრზე რბენაში შესანიშნავი დრო (45,9) აჩვენა გრენობლის ოლიმპიური თამაშების მონაწილემ ი. ეგოროვამ.

● ტერსკოლი, 10 მარტი. ჩეგეტის ფერდობებზე დაიწყო ჩვენი ქვეყნის 34-ე ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში. მედლების ანგარიში ქალებმა გახსნეს. ისინი 1620-მეტრიან სწრაფდაშვების ტრასაზე ასპარეზობდნენ. გამარჯვება მოიპოვა მოსკოველმა ნ. მერკულოვამ — 1.23,0, „ვერცხლი" წილად ხვდა ლენინგრადელ ა. სუხანოვას — 1.23,6. მან 0,1 წამით ჩამოიტოვა თანაგუნდელი ი. კარაპუზოვა-ტურუნდაევსკაია. შარშანდელი ჩემპიონი გ. სიდოროვა V იყო.

# „დინამო“, „ბალტიკა“ თუ?..

## სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

თბილისი. ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი. 9 მარტი.

**„დინამო“ (თბილისი) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) 3:4 (0:1, 0:1, 2:1, 1:1).**

გოლების ავტორები: „დინამო“: ისელიძე (3); საწყლოსნო სპორტკლუბი: შიდლოვსკი (3), დოლგუშინი (1).

მარცხიც არის და მარცხიც. შაბათს თბილისელებს მთელი მატჩის მანძილზე უიღბლობა სდევდათ თან. ჯერ იყო და რამდენჯერმე უშუალოდ კარის სიახლოვეს გასულმა მასპინძლებმა ვერა და ვერ გაიტანეს გოლი, მეორე პერიოდში კი მიმინოშვილს მეტოქეთა გუნდის ერთ-ერთმა წყალბურთელმა ისე გამეტებით ჩაჰკრა თვალში ხელი, რომ მან თამაში ველარ შეძლო. საოცარია, მაგრამ ეს ინციდენტი მხოლოდ კიეველმა მსაჯმა ი. გრიგორიევმა ვერ შენიშნა. II პერიოდის ბოლოდან მიმინოშვილის მაგიერ აუზში გიორგაძე გამოჩნდა. მასპინძლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ თამაშში გარდატეხა ვერ შეიტანეს. ფლოტელთა უპირატესობა კარგა ხანს გაგრძელდა. IV პერიოდში წონასწორობა აღსდგა (3:3), მაგრამ ჩვენებმა მაინცდამაინც მატჩის ბოლო წუთში მოადუნეს დაცვა. ამით კარგად ისარგებლა დოლგუშინმა და გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

**„დინამო“ (ლვოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 2:4 (0:0, 0:2, 2:1, 0:1).**

ლვოვი: ზვერევი (1), ბარკალოვი (1); მოსკოვი: სკოკი (1), კარტაშოვი (1), ჩიქვანაია (1), გრიშინი (1).

შუა ტურნირში მოსკოველებმა მთელი ძალით დაიწყეს თამაში. გუნდის წევრებს ახლა უკეთ ესმით ერთმანეთისა, ამიტომ მათთან ჭიდილი ისე იოლი აღარ არის, როგორც ჩემპიონატის დასაწყისში. ლვოველებთან მატჩი სწორედ ამის ნათელი ილუსტრაცია იყო. მოსკოველებმა დამაჯერებელი მოგება იზეიმეს.

**„დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 3:3 (0:0, 1:1, 1:1, 1:1).**

„დინამო“: ბონდარენკო (2), სნასტინი (1); „სპარტაკი“: სავინი (1), კურუნინი (1), კაპიტონენკო (1).

ამ შეხვედრამდე ვოლგოგრადელებმა 4 მატჩი წააგეს. და აი, როგორც იქნა აუტსაიდერმა პირველი ქულა მოიპოვა.

**მოსკოვის უნივერსიტეტი — კასპიის ფლოტილია (ბაქო) 6:3 (3:0, 1:1, 1:2, 1:0).**

უნივერსიტეტი: ოსიპოვი (2), დრევალი (2), ზელენცოვი (1), კუზნეცოვი (1); კასპიის ფლოტილია: სავინი (3).

ბაქოელ ბორტკევიჩს ამ მატჩამდე ოთხმეტრიანი საჯარიმოდან ბურთის გატანაში ბადალი არ ჰყავდა. მაგრამ ამ შეხვედრაში მას, როგორც ჩანს, ნერვებმა უმტყუნა. კრიტიკულ მომენტებში ბორტკევიჩმა ორი საჯარიმო ვერ გაიტანა. შეიძლება ესეც იყოს ბაქოელთა მარცხის მიზეზი.

**„ტორპედო“ (მოსკოვი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) 3:3 (1:1, 0:0, 0:0, 2:2).**

„ტორპედო“: პუშკარიოვი (3); „ბალტიკა“: სოკოლოვი (3).

ამ შეხვედრაში ყველა გოლი ოთხმეტრიანი საჯარიმოდან გავიდა. მოსკოველებს მოგების შანსი ჰქონდათ, მაგრამ მათ ერთი 4-მეტრიანი საჯარიმო ვერ გამოიყენეს.

თბილისი. ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი. 10 მარტი.

**„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ლვოვი) 4:4 (1:2, 0:2, 1:0, 2:0).**

თბილისი: ისელიძე (4); ლვოვი: უმუდსკი (1), სტიოპინი (1), კოსტიცინი (1), ბარკალოვი (1).

მასპინძლებმა შეხვედრა მიმინოშვილის გარეშე დაიწყეს. მის ნაცვლად გამოვიდა გუნდის ახალგაზრდა წევრი დადივაძე. მართალია, I პერიოდში ისელიძემ ეფექტური გოლი გაიტანა, მაგრამ საკუთარ კარში მიღებულ ორ გოლს მეტოქეთა ოსტატობას ვერ მივაწერთ. ეს გახლდათ თბილისელთა დაცვის უპატიებელი უმოქმედობისა და ინერტულობის შედეგი. II პერიოდის დასაწყისში იგივე განმეორდა: სანაძემ მეტოქე კარის სიახლოვეს მიატოვა და... 3:1 ლვოველთა სასარგებლოდ. უკრაინელებმა ამას კიდევ ერთი გოლი დაუმატეს და III პერიოდის დაწყების წინ დამაჯერებლად დაწინაურდნენ — 4:1. სხვა გზა, როგორც ჩანს, არ იყო და წინადღეს მძიმედ დაშავებული მიმინოშვილი კვლავ გამოჩნდა წყალში.

ამასობაში ისელიძემ ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ გიორგაძე უხეში საქციელისთვის აუზიდან გააძევეს (კიდევ კარგი, შეცვლის უფლებით). IV პერიოდში ორმხრივი ოთხმეტრიანი საჯარიმო დაინიშნა. ჩვენმა მეკარემ — გულედანმა იმარჯვა და გოლი მოიგერია, ხოლო ისელიძემ კიდევ ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა — 3:4. დრო იწურებოდა. მატჩის „ეპილოგი“ თბილისელებმა უკეთ ჩაატარეს და საბოლოოდ ფრეს მიაღწიეს.

**სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — მოსკოვის უნივერსიტეტი 1:0 (0:0, 1:0, 0:0, 0:0).**

საწყლოსნო სპორტკლუბი: შიდლოვსკი (1).

როგორც ხედავთ, ეს შეხვედრა წყალბურთისთვის უჩვეულოდ მინიმალური ანგარიშით დამთავრდა. ეს ერთადერთი გოლიც ოთხმეტრიანი საჯარიმოდან გაქიდა. ყოველივე ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ორივე გუნდი დაცვაში დიდი ყურადღებით, გააზრებულად თამაშობდა, სამაგიეროდ, შეტევაში მოიკოჭლებდა.

**„დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 4:2 (0:0, 1:0, 1:1, 2:1).**

„დინამო“: გრიგოროვსკი (1), ბარანოვი (2), ჩიქვანაია (1); „ტორპედო“: ვახტინი (1), ხოტი (1).

ამ მოგებით „დინამო“ სატურნირო ცხრილში „ბალტიკას“ გაუთანაბრდა და ახლა ორივე კოლექტივი 9-9 ქულით ლიდერობს. სამი ტურიც, და გამოირკვევა ვინ იქნება I წრის ლიდერი, მოსკოვის „დინამო“, „ბალტიკა“, თუ?..

**„ბალტიკა“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (კიევი) 1:1 (1:0, 0:0, 0:1, 0:0).**

„ბალტიკა“: გელერმანი (1); „დინამო“: პანკოვი (1).

გაბედულად ვერც ერთი გუნდი ვერ გადადიოდა იერიშზე. ლიდერთა ჯგუფში დარჩენის სურვილმა უშელავათო ბრძოლის პრინციპი, როგორც ჩანს, უკანა პლანზე გადააწევინა მეტოქეებს.

**კასპიის ფლოტილია (ბაქო) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 5:3 (1:0, 1:1, 1:0, 2:2).**

კასპიის ფლოტილია: მოგილევეცი (1), ბორტკევიჩი (2), სავინი (2); „სპარტაკი“: კოტელნიკოვი (2), ლიჩაგინი (1).

ამ მატჩამდე ბაქოელები გათამაშების ცხრილში სწორედ სპარტაკელთა მეზობლები იყვნენ, სპარტაკელები კი როგორც მოგეხსენებათ, ცხრილის ბოლო საფეხურზე დგანან. ფლოტელებმა აუტსაიდერებს ეს შეხვედრა მოუგეს, მაგრამ ამ მოგებით მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ ხუთქულიანთა ჯგუფში მოხვდნენ მოსკოვის უნივერსიტეტისა და თბილისის „დინამოს“ გუნდებთან ერთად.

**ჯ. ენუქიძე.**

• • •



სურათზე: ბურთს ფლობს თბილისელი ჯ. წიკლაური.

ფოტო ა. კავკასიძისა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკოვი) | 6 | 3 | 3 | 0 | 24—19 | 9 |
| „ბალტიკა“ (ლენინგრადი) | 6 | 3 | 3 | 0 | 21—18 | 9 |
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) | 6 | 4 | 0 | 2 | 20—14 | 8 |
| „დინამო“ (კიევი) | 6 | 3 | 2 | 1 | 15—12 | 8 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 6 | 2 | 2 | 2 | 19—16 | 6 |
| მოსკოვის უნივერსიტეტი | 6 | 2 | 1 | 3 | 20—17 | 5 |
| „დინამო“ (თბილისი) | 6 | 1 | 3 | 2 | 20—21 | 5 |
| კასპიის ფლოტილია (ბაქო) | 6 | 1 | 3 | 2 | 19—21 | 5 |
| „დინამო“ (ლვოვი) | 6 | 1 | 2 | 3 | 19—27 | 4 |
| „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) | 6 | 0 | 1 | 5 | 15—27 | 1 |

# დიდი უპირატესობით

ჭიათურაში დამთავრდა სომხეთისა და საქართველოს მოცურავეთა მატჩი, რომელიც მარგანეცის ტრესტის სპორტული კომბინატის დახურულ აუზში გაიმართა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა შეჯიბრების პირველ დღეს მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს და 12249 ქულით ჩამოიტოვეს მეტოქე, რომელმაც საბოლოოდ 13661 ქულა მოაგროვა.

სტუმრებში საუკეთესო იყო 15 წლის ერევნელი მოცურავე ა. ჯილავიანი. მან ჯერ 100 მეტრზე ბრასით ცურვა მოიგო და ოსტატობა მოიპოვა, შემდეგ კი 200 მეტრზე ცურვაშიც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი — 2.56,0 (ეს შედეგი სომხეთის ახალი რეკორდია). ჯილავიანს გადაეცა კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პრიზი, რომელიც საუკეთესო მოცურავე ქალისთვის იყო დაწესებული.

მეორე პრიზი მიიღო ვაჟთა შორის საუკეთესომ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვ. ჩოლარიამ. მან მოიგო 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვა და ყველაზე მეტი ქულა შესძინა მასპინძელთა გუნდს.

400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ქალებში პირველი იყო თბილისელი ვ. ბახი. თანაგუნდელი ი. ეფიმოვა მას 1,8 წამით ჩამორჩა, მაგრამ სამაგიეროდ, ამ უკანასკნელმა გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა. ამ ტურნირში კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა. მისი ავტორია 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებული ვ. ონუფრიენკო — 4.51,1. ეს საქართველოს „შრომითი რეზერვების“ ახალი მიღწევაა.

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ შეჯიბრების მონაწილეთა ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა. ეს დაადასტურა ტურნირის შედეგებმაც (ნაჩვენებია 2 სპორტის ოსტატის, 1 ოსტატობის კანდიდატისა და 20 პირველი თანრიგის შედეგი) და რეკორდების გასაუმჯობესებლად შეჯიბრების შემდეგ გამართულმა ცურვამაც. დამატებით ცდაზე ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ გააუქმა ძველი რეკორდი.

**ა. ბურასაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).
**თ. შეყილაძე.**
(ჩვენი კორ.).

• • •

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები: **ქალები.** 200 მ თავისუფალი სტილით ცურვა — ო. ვილკოვა 2.46,4; 400 მ თავისუფალი სტილით — ნ. ჰუმბაძე — 5.50,9; 200 მ გულაღმა — მ. ყულიჯანოვა — 2.50,1; 200 მ კომპლექსური ცურვა — ი. ეფიმოვა — 2.56,5; 200 მ ბატერფლაით — ტ. სტრუნინა (ყველა — საქართველო) — 3.06,8; კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ — საქართველო — 5.19,1.

**ვაჟები.** 200 მ თავისუფალი სტილით ცურვა — ვ. ონუფრიენკო — 2.14,1; 200 მ ბრასით — ვ. ჩოლარია — 2.40,7; 200 მ გულაღმა — ა. სარქისოვი — 2.33,0; 200 მ ბატერფლაით — მ. მამყოიანი — 2.30,4; 200 მ კომპლექსური — ვ. შჩუკინი — 2.34,1; 400 მ კომპლექსური — ვ. ჰარბაძე (ყველა — საქართველო) — 5.30,1; ესტაფეტა 4×200 მ თავისუფალი სტილით — საქართველო — 9.22,7; კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ — საქართველო—4.34,8.

• • •



სურათზე: ვ. ჰარბაძე ასპარეზობის დროს.

ფოტო ა. გურასაშვილისა.

## ფეხბურთი

# ვეტერანის საზეიმოდ

10 მარტს შედგა შ. შავგულიძის სახელობის თასის II ტურის მატჩები რესპუბლიკის „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

I ქვეჯგუფში წარმატებით ითამაშა ჭიათურის „მაღაროელმა“, რომელმაც სოხუმში დაამარცხა ადგილობრივი „დინამო“ ანგარიშით 2:0. დიდი ანგარიშით წააგო შეხვედრა ლანჩხუთში ადგილობრივ „გურიასთან“ ფოთის „კოლხეთმა“ — 0:4, ხოლო ზუგდიდის „ენგური“ საკუთარ მინდორზე დამარცხდა ქობულეთის „შუქურასთან“ — 1:2.

II ქვეჯგუფში ცხინვალის სპარტაკელებმა მიიღეს გურჯაანის „ალაზანი“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. უშედეგოდ — 0:0 დამთავრდა გორის „დილასი“ და მახარაძის „მერცხლის“ შეხვედრა.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 12 მარტისთვის

I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 2 | 2 | 0 | 0 | 4—1 | 4 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 2 | 1 | 1 | 0 | 4—3 | 3 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 2 | 1 | 0 | 1 | 5—2 | 2 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 2 | 1 | 0 | 1 | 3—2 | 2 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 2 | 0 | 1 | 1 | 2—4 | 1 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 2 | 0 | 0 | 2 | 0—6 | 0 |

II ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დილა“ (გორი) | 2 | 1 | 1 | 0 | 5—1 | 3 |
| „სპარტაკი“ (ცხინვალი) | 2 | 1 | 1 | 0 | 4—3 | 3 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 1 | 0 | 1 | 0 | 2—2 | 1 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 1 | 0 | 1 | 0 | 0—0 | 1 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 2 | 0 | 0 | 2 | 2—7 | 0 |

## „ენძელას“ თასზე

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა ბოლო ტურის წინ

I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკოვი) | 4 | 3 | 0 | 1 | 8—2 | 6 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 4 | 2 | 0 | 2 | 4—3 | 4 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 4 | 1 | 2 | 1 | 5—6 | 4 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 4 | 1 | 2 | 1 | 3—5 | 4 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—4 | 4 |
| „პოლიტოტდელი“ (ტაშკ. ოლქი) | 4 | 1 | 0 | 3 | 4—6 | 2 |

II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (როსტოვი) | 4 | 4 | 0 | 0 | 8—0 | 8 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 4 | 1 | 2 | 1 | 5—6 | 4 |
| „არარატი“ (ერევანი) | 4 | 1 | 2 | 1 | 3—4 | 4 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 4 | 1 | 1 | 2 | 5—4 | 3 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 4 | 1 | 1 | 2 | 3—5 | 3 |
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 4 | 0 | 2 | 2 | 3—8 | 2 |

III ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 4 | 2 | 2 | 0 | 6—1 | 6 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 4 | 2 | 1 | 1 | 5—3 | 5 |
| „დინამო“ (კიევი) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—1 | 4 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—4 | 4 |
| „დინამო“ (მინსკი) | 4 | 1 | 1 | 2 | 2—4 | 3 |
| „დინამო“ (თბილისი) | 4 | 0 | 2 | 2 | 4—8 | 2 |

IV ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 4 | 3 | 0 | 1 | 7—3 | 6 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 4 | 2 | 2 | 0 | 5—2 | 6 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 4 | 2 | 0 | 2 | 5—5 | 4 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 4 | 1 | 1 | 2 | 5—5 | 3 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 4 | 1 | 1 | 2 | 4—6 | 3 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 4 | 1 | 0 | 3 | 2—7 | 2 |

შენიშვნა: ბაქოს „ნეფტიანიკს“ წლევანდელი სეზონიდან ეწოდება „ნეფტჩი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟენევის ექო


1


2



3

გრენობლის ოლიმპიური თამაშების დამთავრებიდან ათიოდე დღე იყო გასული, შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში რომ ახალი სპორტული ღონისძიება დაიწყო — მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ეს წარმტაცი სანახაობა ტელეეკრანებზე ალბათ სპორტის ყველა მოყვარულმა ნახა, ამიტომ საჭიროდ არ ვთვლით დაწვრილებით ვილაპარაკოთ ამ დიდი ასპარეზობის ყველა წვრილმანზე. თუ როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა უმაღლესი ტიტულის მოპოვებისთვის, რა სიძლიერის იყვნენ შეჯიბრების მთავარი კონკურენტები, როგორი იყო მათი სრიალის ტექნიკის თავისებურებანი და სხვ.

ჩვენი სურვილია სურათების საშუალებით გესაუბროთ, გაგაცნოთ ზოგიერთი რამ, რომელიც ტელეეკრანზე შეიძლება არ ჩანდა.

პირველ სურათზე ხედავთ საბჭოთა მოცეკვავეთა წყვილს — ა. პახომოვასა და ა. გორშკოვს. სავალდებულო ვარჯიშის შესრულების შემდეგ ისინი მეექვსე ადგილზე იყვნენ, ხოლო საბოლოოდაც ამ ადგილს დასჯერდნენ.

ნუ აღელდებით, არ გეგონოთ, რომ მსოფლიო ჩემპიონს წყვილთა სრიალში ო. პროტოპოპოვს პარტნიორი მოტაცეს და იგი სენსაციის მოყვარული რეპორტიორების რკალშია მოქცეული. სრულებითაც არა. ისის იყო გამარჯვებულებმა მედლები მიიღეს და გასახდელს მიაშურეს, მათ გარს შემოერტყა ავტოგრაფებზე მონადირენი. ჩვენი ჩემპიონი შეცბუნებულია. რამდენს შეუსრულოს სურვილი — ერთს, ათს, ოცსა თუ უფრო მეტს. მართლაც, მძიმეა ქუდი მონომახისა (სურათი № 2).

ჩვენმა რეპორტიორმა ფოტოაპარატი მაინცდამაინც მაშინ დაუმიზნა ტაბლოს (სურათი № 3), როცა იგი საშუალო ძალის მონაწილის შედეგებს აჩვენებდა. ციფრების ქვევით მოჩანს იმ ფირმის სახელწოდება, ვინც ამ ჩემპიონატს ემსახურებოდა. რეკლამისთვის იხარჯება მილიონები, მაგრამ ეს მილიონები უფრო მეტი რაოდენობით უბრუნდებათ საქმოსნებს.

ცირკის ხუმარა არ გეგონოთ, შესანიშნავი გერმანელი ფიგურისტი გოგონა გაბრიელა ზაიფერტია. № 4 სურათი გადაღებულია საჩვენებელი გამოსვლების დროს, როცა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა სახუმარო ცეკვა წარმოუდგინა მაყურებელს.

თებერვალში მთელს შვეიცარიაში იმართება ბალ-მასკარადები, რომლებიც მარტის პირველ რიცხვებამდე გრძელდება. ჩვენმა თვითმფრინავმა ვენიდან რომ ციურიხს ჩაგვიყვანა და აქედან მატარებლით გეზი ჟენევისკენ ავიღეთ, ერთ-ერთ ვაგონში იჭაურობას იკლებდნენ ახალგაზრდები. დიდი ღრიანცელის შემდეგ მათ მწყობრი ნაბიჯით, სიმღერითა და დაფდაფების ბრახუნით ჩაუარეს ვაგონებს და მხოლოდ ჟენევის სადგურში ამოვისუნთქეთ, როცა ბალ-მასკარადის მონაწილენი მათსავით ხმაურიანმა ქუჩამ შთანთქა (სურათი № 5).

ჩემპიონატის ყოველ მონაწილეს გამოსვლის შემდეგ ფხიზლად დარაჯობდნენ ტელევიზიის მუშაკები. იქვე, ყინულის ბილიკზე იღებდნენ ინტერვიუს, სპორტსმენები პასუხობდნენ ტელერეპორტიორთა კითხვებზე. და აი, მეექვსე სურათზე ერთ-ერთი წყვილი დატყვევებული ჰყავს ტელეკამერებს.

მსოფლიო ჩემპიონატს უამრავი მაყურებელი დაესწრო. ბოლო დღეებში კი დასაჯდომი ბილეთების შოვნაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. თქვენ № 7 სურათზე ხედავთ მაყურებელთა ტრიბუნის ერთ-ერთ კუთხეს.

აი, ჟენევის სპორტის სასახლე, სადაც ჩატარდა ფიგურისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. წინა პლანზე კვლავ ყოვლისშემძლე რეკლამაა. ფირმა „მორისი" გიწვევთ მანქანა დააყენოთ შემოფარგლულ გარაჟში. საფასური ერთნახევარი შვეიცარიული ფრანკი.

ტექსტი ზ. ჯაფარიძისა,
ფოტო მ. ზარგარიანისა
(ჩვენი სპეც. კორესპონდენტები).

ჟენევა — თბილისი, თებერვალი — მარტი.


4


5


6



7



8

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველი მხრიდან

## ● დონ ფრეზერმა პროცესი მოიგო

ამ დღეებში სიდნეიში უჩვეულო პროცესი შედგა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სახელგანთქმულმა ავსტრალიელმა სპორტსმენმა დონ ფრეზერმა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მსოფლიოს უსწრაფესი მოცურავე ქალის სახელი, საქმე აღძრა ავსტრალიის მოცურავეთა კავშირის პრეზიდენტის ბერგ ფილიპსის წინააღმდეგ. ბრალდება ჯერ კიდევ 1966 წლის ამბებს ეხება.

საქმე ისაა, რომ 1964 წლის შემდეგ ფრეზერს ათი წლით დისკვალიფიკაცია მიეცა ტოკიოს ოლიმპიადაზე დისციპლინის დარღვევისთვის. ამავე დროს იგი იქ ნამდვილი ტრიუმფატორი იყო. ავსტრალიის კავშირის წარმომადგენლებმა ფრეზერს ბევრი ბრალდება წაუყენეს: ჯერ ერთი, მან თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა, თუმცა ეს აკრძალული ჰქონდა შეჯიბრებების წინ დასვენების მიზნით; მეორეც, ფრეზერი სარბიელზე გამოვიდა საცურაო კოსტუმით, „რომელსაც კავშირის სანქცია არ ჰქონდა“; მესამე, ღამით იგი ანძაზე აძვრა და უნდოდა ავსტრალიის ალამი ჩამოეხსნა, როგორც სუვენირი. რასაკვირველია, ფრეზერი არც დღის რეჟიმს იცავდა.

1966 წელს ბერგ ფილიპსმა ცურვის საერთაშორისო ფედერაციაში რამდენიმე წერილი გაგზავნა ფრეზერის დისკვალიფიკაციის თაობაზე. ფრეზერმა, რომელიც გათხოვდა და ახლა მისის უორად იწოდება, სწორედ ამ წერილების გამო ატეხა ალიაქოთი. მოცურავემ განაცხადა, რომ ფილიპსის ცილისწამება შეურაცხყოფს მის ღირსებას, ხოლო დისკვალიფიკაცია უსამართლოა.

სასამართლომ საქმე ფრეზერის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ავსტრალიის მოცურავეთა კავშირის პრეზიდენტის წარმომადგენელმა ბოდიში მოითხოვა მის წინაშე. მაგრამ მოცურავისთვის „ხარჯების ანაზღაურების“ შესახებ არავითარი დასკვნა არ გამოუტანიათ. ავსტრალიის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისის უორისთვის, როგორც ჩანს, ახლა ეს როდია მთავარი. ჟურნალისტები ფიქრობენ, მსოფლიო რეკორდსმენმა იმიტომ წამოჭრა ხელახლა თავისი დისკვალიფიკაციის საკითხი, რომ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში სურს მონაწილეობის მიღებაო. მისის უორს 30 წელი შეუსრულდა, მაგრამ საყვარელი სპორტი არ მიუტოვებია და თავის დისტანციებზე კვლავ საუცხოო შედეგებს აჩვენებს.



დ. ფრეზერი

## ● ვარსკვლავები გვემშვიდობებიან

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ერთ-ერთი წერილი ავსტრიის გაზეთმა „ფოლკსშტიმემ“. გაზეთი იუწყება, რომ ახლა, როცა მთავრდება ფიგურული სრიალის მოვლენებითა და მიღწევებით ესოდენ მდიდარი სეზონი, სამოყვარულო სპორტი სერიოზული სიძნელის წინაშე აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ ბევრმა „ვარსკვლავმა“ პროფესიონალებში გადასვლა გადაწყვიტა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. შვარცმა ჯერ კიდევ ჟენევის მსოფლიო ჩემპიონატამდე განაცხადა თავისი ეს გადაწყვეტილება. ახლა შვარცის მაგალითს მიბაძა მისმა თანამემამულე დანცერმაც. მან თქვა, რომ იზიდავს ყინულის რევიუში მოსალოდნელი კარიერა. „რა მოელის ფიგურულ სრიალს ავსტრიაში? — წერს გაზეთი. — წარმატებას, რომელსაც ამ ბოლო ხანებში მივაღწიეთ ვაჟთა სრიალში, კიდევ მრავალ წელიწადს ვეღარ ვნახავთ“.

წერილის ავტორი დაასკვნის, რომ უკეთესი მდგომარეობა არც დასავლეთის ზოგიერთ სხვა ქვეყანაშია. ამერიკელებს უკვე გაისად აღარ ეყოლებათ უძლიერესი ფიგურისტი ჰ. ვისკონტი და გრენობლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ტ. ვუდი.



ვ. შვარცი

მაგრამ ამერიკის გუნდს ყველაზე დიდი დანაკლისი ქალთა ერთეულების სრიალში ელის. პეგი ფლემინგმა გრენობლში მოკრძალებით განაცხადა, რომ სამოყვარულო სპორტს არ უღალატებს, მაგრამ ახლა ისიც მოხიბლა პროფესიონალთა დაპირებამ. ფლემინგმა თქვა, რომ უკვე მოიგო „ყველა მედალი, რომლის მოგებაც კი შეიძლებოდა“. „სწორედ ამიტომ მინდა, — განაგრძობს პეგი, — პროფესიულ სარბიელზე ვცადო ძალა, მით უმეტეს, რომ გადასვლისთვის ჩინებულ პირობებს მპირდებიან“. პეგის მაგალითს მიბაძა მისმა თანაგუნდელმა ალბერტინა ნოიესმაც.

წყვილთა სრიალი? მწვრთნელი ე. ცელერი გვაუწყებს, რომ სარბიელს ტოვებს დასავლეთგერმანული წყვილი — მ. გლოკსჰუბერი—ვ. დანე. „ჟენევაში ისინი უკანასკნელად გამოდიოდნენ მოყვარულთა ტურნირში“.

ერთი სიტყვით, ყველაფერი მოწმობს, რომ პროფესიული სპორტის მენეჯერთა ნადირობა ფიგურული სრიალის ვარსკვლავებზე წლეულს იღბლიანი გამოდგა.

## ● მთავარია სისწრაფე

ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო ფრანგ გულშემატკივართა კერპის ჟან-კლოდ კილის თაყვანისმცემლებისთვისაც კი. ცნობილი სამთომოთხილამურე არ ფარავდა, რომ პროფესიონალებში აპირებდა გადასვლას. მაგრამ ის ამბავი, რომ კილიმ პროფესიულ... ავტორბოლაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, მხოლოდ ამ დღეებში გახდა ცნობილი.

სპორტსმენმა განაცხადა, რომ პირველ ყოვლისა, სებრინგის ტრადიციულ თორმეტსაათიან პროფესიულ ავტორბოლაში გამოვა. აქ იგი 23 მარტს აიღებს სტარტს „რენოს“ მარკის მანქანით. შემდეგ, 15-16 მარტს, კილი ლე მანის პრიზზე იასპარეზებს „შევროლეს“ მანქანით.



ჟ. კ. კილი

სებრინგისა და ლე მანის სარბიელს კარგად იცნობენ პროფესიონალები. სებრინგში რბოლა იშვიათად ჩატარდება ისე, რომ არავინ დაიღუპოს ან არ დაშავდეს. ლე მანში ამ რამდენიმე წლის უკან პროფესიული ავტორბოლის ისტორიაში ყველაზე დიდი უბედურება მოხდა: რამდენიმე მანქანა მაყურებელთა რიგებში შეიჭრა და ასამდე კაცი იმსხვერპლა. სხვათა შორის, ავტომრბოლელთა ინტერესების დამცველმა ფრანგულმა კავშირმა, რომელიც ამას წინათ შეიქმნა, მოითხოვა, რომ ლე მანის რბოლებისთვის მეტი ყურადღება მიექციათ, მაგრამ ეს მოთხოვნა მოთხოვნად დარჩა.

კილი ჯერჯერობით ოპტიმისტურადაა განწყობილი: „ავტორბოლასა და სამთოსათხილამურო სპორტს აქვთ რაღაც საერთო — ესაა ზღაპრული სისწრაფე. აი, რა მომწონს განსაკუთრებით“. პროფესიული ავტორბოლის მეორე მხარეზე კილი ჯერჯერობით არაფერს ამბობს, მაგრამ ვინ იცის, იქნებ მალე იგიც პირისპირ შეეჯახოს მას?

# ცნობები ჭადრაკის სამყაროდან

▲ **პუერტო-რიკო.** ქალაქ სან-ხუანის უნივერსიტეტმა ჭადრაკის ისტორიასა და თეორიაში ლექციების წასაკითხად მიიწვია ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი პახმანი.

▲ **ბუდაპეშტი.** უნგრეთის ქალთა საჭადრაკო პირველობაში მხოლოდ 13 მოთამაშე მონაწილეობდა, მაგრამ ჩემპიონის გამოსავლინებლად დამატებითი მატჩ-ტურნირის ჩატარება შეიქნა საჭირო. I-III ადგილები გაიყვეს ცნობილმა მოჭადრაკემ კარაკაშმა და ახალგაზრდებმა — ივანკამ და სადაიმ, გამარჯვება ივანკას ხვდა. ახალმა ჩემპიონმა 2,5 ქულა დააგროვა 4 შეხვედრაში.

▲ **ბუენოს-აირესი.** არგენტინის პირველობაში გაიმარჯვა სანგინეტიმ — 8,5 ქულა 9-დან. ჩემპიონმა 3 ქულით ჩამოიტოვა როსეტო და რუბინეტი. ტურნირში არ მონაწილეობდნენ დიდოსტატები ნაიდორფი, პანო და ბოლბოჩანი.

▲ **ბრაზილია.** 16 წლის ენრიკო მეკინგმა პირველად მოიპოვა ბრაზილიის ჩემპიონის სახელი. მან 9 შეხვედრაში 7,5 ქულა მოაგროვა. შარშანდელი ჩემპიონი პაივა მეკინგს ერთი ქულით ჩამორჩა.

▲ **სოფია.** ახალგაზრდა ოსტატმა პეევმა ბულგარეთის პირველობაში I-II ადგილები გაიყო ცნობილ ოსტატ რადულოვთან, მაგრამ ჩემპიონის გამოსავლინებლად ოთხმა დამატებითმა პარტიამაც არ იკმარა. მეხუთე პარტიაში პეევმა გაიმარჯვა.

▲ **რომი.** იტალიის ქალაქ რეჯო ემილიაში ამას წინათ ჩატარდა X საიუბილეო ტურნირი, რომელშიც 9 ქვეყნის 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა. იტალიის გაზეთების აზრით, ტურნირის გმირი იყო ჩეხოსლოვაკიელი სტუდენტი — მათემატიკოსი მიშტა, რომელმაც დაამარცხა ორივე პირველი პრიზიორი — იუგოსლაველი დიდოსტატი მატულოვიჩი და ამერიკელი საერთაშორისო ოსტატი სეიდი, ჩამოიტოვა ცნობილი ოსტატები: ჩოკილტია (რუმინეთი), ბერტოკი (უნგრეთი), კურაიცა (იუგოსლავია), ტატაი (იტალია) და სხვები. მიშტა III ადგილზე გავიდა.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ორი რევანში

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები.

**კიევი.** ადგილობრივი „სტროიტელისა“ და ასკ-ს განმეორებითი მატჩი ისეთივე დაძაბული იყო, როგორც ძველი სპორტული მეტოქეების პირველი შეხვედრა. წინა დღით არმიელებმა ქულა აიღეს. ამჯერად გამარჯვება წილად ხვდა „სტროიტელს“ — 67:66. როგორც ხედავთ მეტოქეების ტრადიციულ დავას ჯერჯერობით შედეგი არ გამოუღია. გუნდებმა ქულები თანაბრად გაიყვეს და მაინც, ამ ბრძოლიდან უფრო მეტად დაზარალებული არმიელთა კოლექტივი გამოვიდა.

საქმე ის გახლავთ, რომ მეორე მატჩში არასპორტული საქციელისთვის მსაჯებმა მოედნიდან გააძევეს ასკ-ს უძლიერესი კალათბურთელი სალუხინი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან ავტომატურად მიიღო დისკვალიფიკაცია სულ მცირე ერთი მატჩით.

**მოსკოვი.** ბოლოსდაბოლოს შედგა ადგილობრივი და რიგის არმიელთა I-II წრის გამოტოვებული მატჩები. პირველი შეხვედრა უაღრესად დაძაბული და მძაფრი გამოდგა. მასპინძლებმა მართალია გაიმარჯვეს, მაგრამ მათი უპირატესობა მხოლოდ ერთი ზუსტი სროლით გამოიხატა — 66:64 (37:37).

მეორე დღეს ლატვიელმა კალათბურთელებმა დამსახურებული რევანში აიღეს — 64:60 (26:29).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 28 | 21 | 7 | 1998—1868 | 21 |
| ასკ (კიევი) | 28 | 19 | 9 | 1979—1824 | 19 |
| „დინამო“ (თბილისი) | 26 | 18 | 8 | 1925—1783 | 18 |
| ცსკა | 30 | 18 | 12 | 1936—1868 | 18 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 28 | 16 | 12 | 1848—1819 | 16 |
| ვეფ (რიგა) | 28 | 14 | 14 | 1982—1978 | 14 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 28 | 14 | 14 | 2019—1986 | 14 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 28 | 14 | 14 | 1835—1796 | 14 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 26 | 12 | 14 | 1675—1647 | 12 |
| ასკ (რიგა) | 28 | 12 | 16 | 1999—2014 | 12 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 28 | 6 | 22 | 1895—2145 | 6 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 30 | 4 | 26 | 2178—2560 | 4 |

### ✦ თბილისი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული სამმართველოსა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომელთა საჭადრაკო ტურნირში 11 კაცმა მიიღო მონაწილეობა. ყველას აჯობა სამმართველოს უფროსმა ინჟინერმა ჯ. ვაჩიბერიძემ. II-III ადგილები გაიყვეს ხარისხის ინსპექციის უფროსმა ინსპექტორებმა რ. ჩარგეიშვილმა და ლ. მაჭავარიანმა.

ჯ. ხარდანაძე.

* * *

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარდა მოჭადრაკეთა ტურნირი. I ადგილი დაიკავა მსახიობმა ბ. გოგინავამ, II — თეატრის თანამშრომელმა ვ. სოლოღაშვილმა, III — რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ი. ტრიპოლსკიმ.

ო. ქორიძე.

* * *

თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მესვეურებმა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის საჭადრაკო კლუბში მოაწყვეს 8 მარტისადმი მიძღვნილი საღამო. ოსტატმა ე. კაკაბაძემ ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა. მან 11 პარტია მოიგო და ერთი — ყაიმით დაამთავრა — ი. კოტეტიშვილთან.

ი. თოდრია.

### ✦ ყვარელი

ახალსოფლის კულტურის სახლში გამართულ სოფლის მოჭადრაკეთა პირველობაში 18 კაცმა მიიღო მონაწილეობა. I ადგილი დაიკავა ვ. ნადირაძემ, II—თ. კურტანიძემ, III-IV ადგილები გაიყვეს ი. პატაშურმა და ვ. ხატიაშვილმა.

ბ. გოგინაშვილი.

# არმიელთა პირველობა

ამას წინათ თბილისში დამთავრდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მოჭადრაკეთა პირველობა. შეჯიბრებაში 12 კაცი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა ოსტატმა ა. იზვოზჩიკოვმა (9,5 ქულა), II — ოსტატობის კანდიდატმა ვ. ვარდოსანიძემ (8,5), III-IV ადგილები გაიყვეს ე. ფხაკაძემ და ვ. ჩერნიშოვმა (7-7).

ბ. გოგიაშვილი.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.


ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ)



12—14 მარტი

წყალბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

12 მარტის შეხვედრათა კალენდარი

17 ს. „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი)

18 ს. სამხედრო - საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — კასპიის ფლოტილია (ბაქო)

19 ს. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი)

20 ს. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი)

21 ს. „დინამო“ (ლვოვი) — მოსკოვის უნივერსიტეტი.


გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს გაზეთის რედაქტორს მ. ვ. კაკაბაძეს მისი მამის, პროფესორ

**ვასილ მიხეილის ძე კაკაბაძის**

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 12, 13 მარტს 19 საათზე, ლენინის ქ. № 75. გამოსვენება 14 მარტს 16 საათზე. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის I კორპუსიდან.

# ფ. ალბერტის პროგნოზი

ჯერ კიდევ არ მისცემია დავიწყებას 1966 წლის მსოფლიო საფეხბურთო პირველობის ბატალიები, რომ სპეციალისტები და ჟურნალისტები უკვე იწყებენ ახალი ჩემპიონატის პროგნოზებსა და წინასწარმეტყველებას.

ამას წინათ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ცნობილი უნგრელი ფეხბურთელის ფ. ალბერტის წინასწარმეტყველებამ. 1970 წელს მსოფლიო პირველობაზე, მისი აზრით, ევროპის გუნდების შანსები ძალზე მცირეა. „ძალთა შეფარდება მომავალ მსოფლიო პირველობამდე კიდევ შეიცვლება. — თქვა მან. — მაგრამ მე მჯერა, რომ 1970 წელს პირველ 3 ადგილს ერთმანეთში გაინაწილებენ ორი გუნდი სამხრეთ და შუა ამერიკიდან და 1 გუნდი ევროპიდან (შუა ამერიკიდან მხოლოდ მექსიკაა წარმოდგენილი მეტნაკლებად ძლიერი გუნდებიდან და ნუთუ ალბერტი ფიქრობს, რომ მექსიკას რაიმე შანსი აქვს საპრიზო ადგილზე?).

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 6 უე 03980